

მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოდგენაზე

თარიღი: 2018 წლის 25 ივნისი

სესხის N და სახელი: სესხის N: 3441-GEO
ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 6

კონტრაქტის N და სახელი: UWSCG-ICB-MAR-01-2018 (re-bid)
მარნეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის, ბოლნისის კოლექტორისა და ბოლნისის წყალარინების სისტემის მშენებლობა

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2018 წლის 6 აგვისტო, 16:00 საათი (ადგილობრივი დროით)

- საქართველომ, აზიის განვითარების ბანკისგან მიიღო დაფინანსება ურბანული მომსახურებების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 6-ის დასაფინანსებლად (სესხი 3441-GEO). აღნიშნული თანხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოხსენებული კონტრაქტის დასაფინანსებლად. საერთაშორისო საკონკურსო ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პრეტენდენტებს აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან.
- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (UWSCG) აცხადებს დალუქული სატენდერო წინადადების მიღებას უფლებამოსილი პრეტენდენტებისგან, მარნეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის, ბოლნისის კოლექტორისა და ბოლნისის წყალარინების სისტემის მშენებლობის განსახორციელებლად. სამშენებლო სამუშაოების შესრულების პერიოდია **840 დღე**.
- საერთაშორისო საკონკურსო ტენდერი (ICB) წარმართება აზიის განვითარების ბანკის ერთგვარობით სატენდერო პროცედურების შესაბამისად. ტენდერში მონაწილეობა შეუძლია ყველა პრეტენდენტს უფლებამოსილი ქვეყნიდან, რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში;
- ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვემოთ მოცემულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
 - საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა:** მინიმუმ 65 მილიონი აშშ დოლარის (ან ექვივალენტი) ოდენობის საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა, რომელიც დაანგარიშებული უნდა იყოს სრული დადასტურებული გადახდებით, მიღებული ბოლო სამ წელიწადში მიმდინარე ან დასრულებულ კონტრაქტებიდან (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეული პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მთლიანი მოთხოვნის 25%-ს, ხოლო ერთი პარტნიორი 40%-ს);
 - ფინანსური რესურსები:** პრეტენდენტმა უნდა აჩვენოს ლიკვიდური აქტივების, საკრედიტო ხაზის ან სხვა ფინანსურ რესურსების ხელმისაწვდომობა, რათა პრეტენდენტმა დააკმაყოფილოს ფინანსური რესურსის მოთხოვნა 10,7 მილიონი აშშ დოლარის (ან ექვივალენტის) ოდენობით (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეული პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის 25%-ს ხოლო ერთი პარტნიორი მოთხოვნის 40%-ს);
 - მსგავსი ზომის და ხასიათის ხელშეკრულება:** პრეტენდენტს ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს სრულად ან არსებითად დასრულებული სულ მცირე 1 მსგავსი ხელშეკრულება, სადაც პრეტენდენტის მონაწილეობა აჭარბებს 60 მილიონ აშშ დოლარს (ან ექვივალენტს); ხელშეკრულება მსგავსად ჩაითვლება მისი ზომის, სამუშაოების ხასიათის, სირთულის, და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც დეტალურად მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის სექცია 6-ში - „დამსაქმებლის მოთხოვნები“.
- დამატები ინფორმაციის მიღებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად პრეტენდენტებმა უნდა მიმართონ:

ია მაზანიშვილი/მარიამ ნაკაშიძე, შესყიდვების სპეციალისტი
შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
76ბ ვაჟა-ფშაველას გამზირი
0186 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: (995 32) 291 90 60

ფაქსის ნომერი: (995 32) 222 00 36

ელ. ფოსტის მისამართი: i.mazanishvili@water.gov.ge; m.nakashidze@water.gov.ge

6. სატენდერო დოკუმენტების ინგლისურ ენაზე შესყიდვისათვის უფლებამოსილმა პრეტენდენტმა უნდა:

- მიწერონ ზემოხსენებულ მისამართზე UWSCG-ICB-MAR-01-2018 (re-bid): მარნეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების, ბოლნისის კოლექტორისა და ბოლნისის წყალარინების სისტემის მშენებლობის ტენდერში მონაწილეობის თაობაზე.
- გადაიხადონ არაანაზღაურებადი გადასახადი (ელექტრონული გადარიცხვით ან ქეშით) 250 ლარის ან 100 აშშ დოლარის ოდენობით, რათა მიიღონ არარედაქტირებად CD-ზე ჩაწერილი სატენდერო დოკუმენტაცია, ელექტრონულ ფორმატში, UWSCG ოფისში 10:00 -დან 17:00-მდე პუნქტ 5-ში მითითებულ ოფისში.

გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე:

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

JSC Liberty Bank, ცენტრალური ფილიალი

SWIFT CODE: LBRTGE22

GE67LB0113123325230095 GEL

GE40LB0113123325230096 USD

ანოტაციით: „მოწვევა სატენდერო პაკეტისათვის - მარნეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის, ბოლნისის კოლექტორისა და ბოლნისის წყალარინების სისტემის მშენებლობა“ UWSCG-ICB-MAR-01-2018 (re-bid).

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის და მოთხოვნის წერილის წარმოდგენის შემდეგ. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ელექტრონულ ფორმატში.

7. წარმოადგინეთ თქვენი სატენდერო წინადადება:

- ზემოხსენებულ მისამართზე;
- მოცემულ ბოლო ვადამდე: **2018 წლის 6 აგვისტო, 16:00 საათი (ადგილობრივი დროით).**
- წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად, როგორც ეს მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება მათი მიღების ბოლო ვადის დასრულებისთანავე, იმ პრეტენდენტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ დასწრებას.